



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
22 მარტი 2021

ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის თებერვალში ექსპორტი წლიურად 2.9%-ით გაიზარდა და 270.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 12.2%-ით შემცირდა 618.2 მლნ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 21.2%-ით შემცირდა და 347.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის თებერვალში 5 უმსხვილესი საქსპორტო საქონელი იყო: სპილენძი (+12.5% წ/წ), ფეროშენადნობები (+7.0% წ/წ), ავტომობილები (-50.6% წ/წ), ღვინო (+27.2% წ/წ) და სასუქები (+47.3% წ/წ). ამასთან, მთლიანი ექსპორტის 19.3% ევროკავშირის ქვეყნებში (+0.5% წ/წ) განხორციელდა, 49.5% დსთ-ის ქვეყნებში (+4.0% წ/წ), ხოლო 31.2% დანარჩენ ქვეყნებში (+2.8% წ/წ).

2021 წლის თებერვალში 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ავტომობილები (+5.4% წ/წ), სპილენძი (-8.8% წ/წ), ნავთობი (-13.5% წ/წ), ბუნებრივი გაზი (-8.4% წ/წ), და მედიკამენტები (-21.2% წ/წ).

ჯამურად, 2021 წლის პირველ ორ თვეში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 18.8%-ით შემცირდა, რადგან ექსპორტი 6.8%-ით, ხოლო იმპორტი 14.1%-ით შემცირდა.

ფულადი გზავნილები: 2021 წლის თებერვალში ფულადი გზავნილები წლიურად 17.5%-ით გაიზარდა და 161.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+31.8%), საბერძნეთი (+19.9%) და აშშ (+32.9%), ხოლო კლება კვლავ დაფიქსირდა რუსეთიდან (-12.4%). ჯამურად, 2021 წლის პირველ ორ თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 18.3%-ით გაიზარდა და 331.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის თებერვალში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 16.9%-ით გაიზარდა, წინა თვეში დაფიქსირებული 15.6%-იანი ზრდის შემდეგ. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (+16.2%) და ელექტროენერჯია, აირი და კონდიციონირების ჰაერი (+22.3%).


მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 17 მარტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით გაზარდა 8.5%-მდე. რეგულატორის განმარტებით, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა კვლავ ნარჩუნდება საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების მნიშვნელოვანი მატებით, პანდემიასთან დაკავშირებული წარმოების ხარჯების ზრდითა და ლარის გაუფასურების გახანგრძლივების გამო. სეზონის მიხედვით, ამ ეტაპზე, წლის განმავლობაში პოლიტიკის დამატებითი გამკაცრების საჭიროება არ იკვეთება. ამასთან, წლიურმა ინფლაციამ თებერვალში 3.6% შეადგინა, რაც მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას უკავშირდება 2020 წლის დეკემბრიდან და დროებითი ხასიათისაა. სეზონის მიხედვით, მარტიდან სუბსიდის დასრულება ინფლაციის მაჩვენებელზე აისახება. სეზონის არსებული პროგნოზით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4-4.5%-ის ფარგლებშია მოსლოდნელი და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 28 აპრილს ჩატარდება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თავარიტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021	 Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	 BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


გასულ კვირას საბაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 23 მარტს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

საბაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	30	135	100
1-წელი	30	135	610
2-წელი	40	180	1,230
5-წელი	70	350	2,298
10-წელი	25	75	1,262
სულ	195	875	5,500


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 31 იანვრის მდგომარეობით

საბაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა საბაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები


კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.23%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.20 (+0.10% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.46 (-0.39% წინა კვირასთან შედარებით), 5.58%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.18 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით), 4.61%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 106.36 ფასად (-0.23% წინა კვირასთან შედარებით), 2.73%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.33 (-0.03% წინა კვირასთან შედარებით), 0.55%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილნეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები		საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
					(Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი			
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.33	0.55	35.10	
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	106.36	2.73	252.76	
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	WD/BB-/	100.18	4.61	445.85	
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	106.20	3.23	291.37	
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/	108.22	9.28	771.53	
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	101.46	5.58	516.26	
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.84	7.31	601.90	
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	106.61	3.57	308.31	
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/	106.58	9.62	803.10	
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	104.51	6.54	572.77	
ადგილობრივი ობლიგაციები									
KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a	
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/	n/a	n/a	n/a	
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a	
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a	
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	-/-/-	n/a	n/a	n/a	
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	-/-/-	100.00	7.50	n/a	
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a	
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B-/	100.00	14.25	n/a	
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/	n/a	n/a	n/a	
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a	
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a	
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/	n/a	n/a	n/a	
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a	
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/	100.00	14.25	n/a	
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a	

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.33	0.55	35.10
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.44	1.81	162.92
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	102.97	5.24	498.57
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	109.88	1.04	46.45
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	109.42	1.02	68.07
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	102.04	3.03	285.15

წყარო: Bloomberg






აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +5.17% წინა კვირასთან შედარებით და +2.33% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 243 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.80 – 11.86 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.72% წინა კვირასთან შედარებით და +7.77% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 566 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.34 – 5.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 67 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 10.74 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.11% წინა კვირასთან შედარებით და -6.28% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 252 ათასს გადააჭარბა, GBP 10.74 – 11.38 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.





აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B		
							2020F	2021F	2020F	2021F	
Bank of Georgia	BGEO	GBP	11.40	561	28.8%	42.1%	-6.6%	7.86x	4.39x	0.95x	0.78x
TBC	TBC	GBP	10.74	591	5.9%	48.1%	-14.1%	6.07x	4.35x	0.85x	0.73x
Halyk Bank	HSBK	US\$	14.35	4,217	26.4%	97.1%	23.2%	5.76x	4.53x	1.17x	1.08x
VTB Bank	VTBR	US\$	0.96	6,218	8.8%	27.7%	0.5%	6.43x	2.83x	0.33x	0.31x
Akbank	AKBNK	TRY	5.92	30,784	21.6%	4.2%	-14.6%	7.20x	5.10x	0.71x	0.59x
Garanti	GARAN	TRY	8.86	37,212	33.0%	16.9%	-14.6%	7.75x	5.25x	0.83x	0.69x
Isbank	ISCTR	TRY	5.73	25,785	15.3%	17.4%	-18.1%	5.38x	4.25x	0.54x	0.47x
PKO	PKO	PLN	31.05	38,813	45.0%	41.8%	8.1%	13.35x	11.73x	0.85x	0.84x
PEKAO	PEO	PLN	70.08	18,394	38.7%	32.2%	14.7%	15.09x	11.53x	0.72x	0.71x
Millennium	MIL	PLN	3.76	4,561	32.9%	-3.1%	15.0%	63.62x	18.68x	0.49x	0.49x
Mbank	MBK	PLN	226.40	9,585	24.0%	-6.2%	26.3%	38.18x	18.87x	0.55x	0.57x
BRD	BRD	RON	15.50	10,802	20.5%	34.3%	4.3%	13.06x	10.53x	1.16x	1.39x
Banca Transilvania	TLV	RON	2.39	12,440	6.6%	50.1%	6.0%	12.49x	7.50x	1.45x	1.23x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.52x	10.49x	0.70x	0.66x
Komercni	KOMB	CZK	675.00	128,283	36.5%	45.2%	2.7%	15.19x	13.53x	1.07x	1.04x
საშუალო								15.33x	8.90x	0.82x	0.77x
მედიანა								12.49x	7.50x	0.83x	0.71x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაღარი კომპანიები

ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B		
							2020F	2021F	2020F	2021F	
Georgia Capital	CGEO	GBP	5.55	204	52.9%	44.0%	2.8%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.30	335	-7.5%	6.0%	-5.0%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.99	20,384	28.6%	31.4%	-12.8%	5.94x	4.81x	0.78x	0.65x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	34.95	526	10.1%	45.6%	5.6%	na	11.67x	1.15x	1.16x
Eurazeo	RF	EUR	65.90	5,191	39.2%	59.0%	18.7%	29.64x	6.31x	0.89x	0.72x
Carlyle Group	CG	USD	36.43	4,032	47.3%	82.3%	15.9%	6.13x	5.04x	6.02x	4.57x
საშუალო								13.90x	6.96x	2.21x	1.77x
მედიანა								6.13x	5.68x	1.02x	0.94x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე სახის და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთვნიან ინდუსტრიას, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოვლენი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge